ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 29

ქ.თბილისი წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო **„30„ „მარტს“ 2022 წ.**

ერთის მხრივ **შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“** (შემდგომში “შემსყიდველი”), მისი დირექტორის **ზურაბ ჯალაბაძის** სახით და

მეორეს მხრივ, **სს „გეფა“,** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი **საბითუმო გაყიდვების და სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორის დავით სულაბერიძის** სახით,

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის შემსყიდველს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ **სამედიცინო სახარჯი მასალების და ფარმაცევტული პროდუქტების** (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.2. შესყიდვის ობიექტია:

№	CPV კოდი	დასახელება/გენერიული დასახელება	მწარმოებელი	ქვეყანა	საქონლის ნუმერუსი	განზ. ერთ.	ერთ. ფასი ₾	რაოდენობა	თანხა ₾	თანხა CPV კოდის მიხედვით, ლარი
1	33140000	სისტემა ტრანსფუზიური ფილტრით PK 21-01 PK 23-07 /რუს/ #1	სინთეზი	რუსეთის ფედერაცია	1	ცალი	2.5	10	25.00	**105.00**
2		შპადელი ხის /დეპრესორი/ სტერილური #1		თურქეთი	1	ცალი	0.08	1,000	80.00	
3	33600000	პარა დენკი სანთელი რექტალური 250მგ /2-8წლ-მდე/ #10 (პარაცეტამოლი). მოქმედების ვადა <12 თვე - 10/1/2022	დენკ ფარმა	გერმანია	10	კოლოფი	5.14	20	102.80	**257.75**
4		იოდის სპირტ- ხსნარი 5% 10მლ ფლაკონი პოლიეთ #1	ემფარმა	საქართველო	1	ფლაკონი	1.15	50	57.50	
5		წყალბადის ზეჟანგი ხსნარი 3% 100მლ ფლაკონი /საქ/ #1		საქართველო	1	ფლაკონი	0.55	150	82.50	

6		ლევომეკოლ მეკოლ-ბორიმედი მალამო 40გრ ტუბი #1 (ქლორამფენიკოლი+მეთილურა ცილი)	ბორისოვო	ბელარუსი	1	ტუბი	1.75	5	8.75	
7		წყალი გამოხდილი. 1ლ /საქ/ #1	ოქსი-ჯი	საქართველო	1	1ლ	0.62	10	6.20	
სულ:										**362.75**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **362,75 (სამასსამოცდაორი ლარი და 75 თეთრი)** ლარს.
3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა.
5.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორი ზურაბ ჯალაბაძე.**
5.6. ინსპექტირების ჯგუფის მიერ საქონლის რაოდენობის და ხარისხის წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისას უხარისხო საქონლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას მის მიღებაზე.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2022 წლის 07 აპრილის ჩათვლით.**
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია **გორის მუნიციპალიტეტი, ს.ტყვიავი, შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი"-ს შენობა,** სადაც საქონლის გადაცემისას მხარეთა შორის სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.
6.3. საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ზურაბ ჯალაბაძე - დირექტორი**. ამ დოკუმენტების ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. ანგარიშსწორების წესი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
8.2. ანგარიშსწორების მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა) გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
<u>7.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.</u>

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ცვლილებების გარდა.
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.
10.2. იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან შესყიდვის ობიექტის შეუსაბამობას, აგრეთვე თუ მომდევნო ვალდებულების შესრულების დღემდე ვალდებულება კვლავ შეუსრულებელია, მაშინ ამ დღიდან მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
10.4. საერთო ჯამში პირგასამტეხლოები არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20%. ამ ნიშნულის მიღწევის შემთხვევაში ორივე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.5. იმ შემთხვევაში თუ 10.2. პუნქტში მოყვანილი გარემოებები განმეორდება (ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება) შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
10.8. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს, რა შემთხვევაშიც შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული საქონლის ხარისხთან, რაოდენობასთან და ა.შ.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2 წინამდებარე მუხლის 11.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების 30 დღით გაგრძელების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. უფლებების გადაცემა

14.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. შეტყობინების განხორციელება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დადგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

18. დამატებითი პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
18.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“
მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, ს.ტყვიავი
ელ.ფოსტა: vachroba@gmal.com
ბანკის დასახელება: ს.ს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE41LB0113142225993000
ს/კოდი: 227721383

დირექტორი
ზურაბ ჯალაბაძე

LTD "PRIMARY HEALTH CARE CENTER OF SHIDA KARTLI"
Подписано цифровой подписью: LTD "PRIMARY HEALTH CARE CENTER OF SHIDA KARTLI"
Дата: 2022.03.30 13:24:47 +04'00'

მიმწოდებელი
სს „გეფა“,
მისამართი:თბილისი, აკ. ბელიაშვილის 142
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE47TB7079136020100017
ს/კოდი: 201991229

საბითუმო გაყიდვების და სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორი
დავით სულაბერიძე

GEPHA JSC
Digitally signed by GEPHA JSC
Date: 2022.03.30 14:38:39 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი **30 მარტი, 2022 წელი**

შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვადასტურებ, რომ „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ **სამედიცინო სახარჯი მასალების და ფარმაცევტული პროდუქტების** შესყიდვის პროცედურაში ხელშეკრულება #29 30.03.2022 წ. ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობით მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დირექტორი:

ზურაბ ჯალაბაძე